საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1624-02
06/09/2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-24 მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების“ მე-18 მუხლისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 6 სექტემბრის N9874-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოში წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნები ორ ვაკანტურ ადგილზე.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 9 სექტემბრიდან 15 სექტემბრის 18:00 საათის ჩათვლით უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნის გზით info@iliauni.edu.ge .
3. უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.
4. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:
   ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;
   ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;
   გ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატის ორ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2021 წლის 20 სექტემბერს 11:00 საათიდან 16:00 საათამდე (მის:ი.ჭავჭავაძის გამზ. 32, B 201 აუდიტორია). არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს.
7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის გაცნობა და ინფორმირება.
9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს 2021 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით მიაწოდოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სია- სახელის, გვარისა პირადი ნომრის მითითებით.
10. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს მიაწოდოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ინფორმაცია დარეგისტრირებული კანდიდატების შესახებ არაუგვიანეს 2021 წლის 16 სექტემბრისა.
11. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი